

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს № 167/01-01 ბრძანების საფუძველზე მათემატიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის № 51/2025 დადგენილების პუნქტი 8-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 5 (შემაჯამებელი)

7 ოქტომბერი, 2025 წ.

ქ. თბილისი

15:00 სთ, თსუ XI კორპ. ოთახი #330

სხდომას კომისიის ექვსი წევრიდან ესწრებოდა ექვსივე:

- ა) თამაზ თადუმაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
- ბ) ელიზბარ ნადარაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- გ) თინათინ დავითაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
- დ) მალხაზ ბაკურაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
- ე) ვახტანგ კვარაცხელია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
- ვ) გიორგი ჭელიძე - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრის ასოცირებული პროფესორების (ოთხი) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების მიმოხილვა, ურთიერთ შეჯერება და შეჯამება.
2. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასოცირებული პროფესორებისა (ოთხი) და ასისტენტ პროფესორის (ერთი) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების მიმოხილვა, ურთიერთ შეჯერება და შეჯამება.
3. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასოცირებული პროფესორების (ოთხი) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების მიმოხილვა, ურთიერთ შეჯერება და შეჯამება. .
4. თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორისა (ერთი) და ასისტენტ პროფესორის (ერთი) სამსახურში

მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების მიმოხილვა, ურთიერთ შეჯერება და შეჯამება.

1. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრაზე ასოცირებული პროფესორების არჩევის მიზნით კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. მან ასევე ისაუბრა აღნიშნული ინფორმაციის განხილვის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე და შეაჯამა კონკურსის შედეგები.

მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალური განტოლებების კათედრაზე ასოცირებული პროფესორების 3 საშტატო ერთეულზე („ა“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 3 კანდიდატს:

- 1) გიორგაძე გრიგორი კარლოს ძე;
- 2) თავხელიძე ილია ნოშრევანის ძე;
- 3) ჯოხაძე ოთარ მიხეილის ძე;

ხოლო ასოცირებული პროფესორის მეოთხე საშტატო ერთეულზე („ბ“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 1 კანდიდატს:

- 4) ფარცვანია ნინო ლერის ასული (კატეგორია „ბ“).

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტების დოკუმენტაცია მიიღეს დალუქულ მდგომარეობაში და ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

1) კონკურსანტი გრიგორი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი გრიგორი გიორგაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის ამავე კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა), საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6 წლის განმავლობაში კითხულობდა 7 სასწავლო კურსს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად

შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 12 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2018-2025); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები ამავე პერიოდში - 18; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 389, h-ინდექსი - 10, g-ინდექსი - 14; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში >20, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 5, 3.8 თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 9. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: კონკურსანტი არის სადოქტორო პროგრამა "მათემატიკის" თანახელმძღვანელი და კოორდინატორი, თსუ-ის ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის სხდომების „კომპლექსური ანალიზის და მისი გამოყენებების“ სექციის თავმჯდომარე (2013-2025), ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შრომები (Proc.I.Vekua Institute of Appl.Math), თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა - რედაქტორი (2011-2024 წწ.), Advanced Studies: Euro-Tbilisi Mathematical Journal - რედკოლეგიის წევრი, ISAAC -ის (ანალიზის, მისი გამოყენებების და გამოთვლების საერთაშორისო ორგანიზაცია) წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცული იქნა ორი სადოქტორო დისერტაცია მათემატიკაში (გ. გულაღაშვილი და გ. კაკულაშვილი), არის საერთო ჯამში 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი და სხვა. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2) კონკურსანტი თავხელიძე ილია

როგორც კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, კონკურსანტი ილია თავხელიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (ბოლო 6

წლის განმავლობაში კითხულობდა 7 სასწავლო კურსს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო და არჩევითი საგნების ნუსხაში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 19 მნიშვნელოვანი პუბლიკაცია ბოლო 6 წლის განმავლობაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 257, h-ინდექსი – 9, g-ინდექსი – 11; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 12, საგრანტო პროექტში მონაწილეობა – 1, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან – 15. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია სამომავლო მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: კონკურსანტი არის თსუ სენატის წევრი, ფაკულტეტის სამივლინებო კომისიის წევრი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მათემატიკის“ თანახელმძღვანელი, სხვადასხვა სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის რედაქციის წევრი, თსუ ენციკლოპედიის სარედაქციო კომისიის წევრი და სხვა. იგი დიდ მუშაობას ეწევა მათემატიკის პოპულარიზაციის მიმართულებით. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

3) კონკურსანტი ფარცვანია ნინო

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ნინო ფარცვანიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის საერთო პედაგოგიური სტაჟი (პედაგოგიური სტაჟი იწყება 2000 წლიდან) და სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (14 სასწავლო კურსი ქართულ და ინგლისურ ენებზე), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტს შეუძლია წაიკითხოს სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად

შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 38 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (1999-2023), 7 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია - 229, h-ინდექსი - 9, g-ინდექსი - 12. ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 21, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 5. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეპციაში მიმოხილულია კონკურსანტის მიმდინარე და სამომავლო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხედვა. ამრიგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: მას მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი მათემატიკის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის (გაეროს მიერ დაწესებულ მეცნიერ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით) - 2017 წ., სხვადასხვა ჯილდო, როგორც საუკეთესო ლექტორს, არის რამოდენიმე მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალის რედაქტორი და სხვა. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

4) კონკურსანტი ჯოხაძე ოთარი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ოთარ ჯოხაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიის მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2009 წლიდან დღემდე ეკავა მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა, საერთო პედაგოგიური სტაჟი - 1996 წლიდან), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (5 ძირითადი სასწავლო კურსი ბაკალავრიატში), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი 3 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საერთო ჯამში 55 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 5 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია - 538, h-ინდექსი - 12, g-ინდექსი - 16; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 22, საგრანტო პროექტში

მონაწილეობა - 2, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 14. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტი არის ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის მდივანი; 1979-1982 წ. წ. - აკად. ი. ვეკუას პირველი სახელობითი სტიპენდიანტი; საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. მუსხელიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, 2024 წ. და სხვა. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრებმა პრეტენდენტებს დაუსვეს შეკითხვები მათი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე სასწავლო-მეთოდური მასალებისა და წასაკითხად შემოთავაზებული ახალი სასწავლო კურსების შესახებ. გასაუბრებისას დაისვა სხვა ისეთი კითხვებიც, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების გრიგორი გიორგაძის, ილია თავხელიძისა და ოთარ ჯოხაძის კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრაზე არსებული ასოცირებული პროფესორების ვაკანსიების (კატეგორია „ა“) მოთხოვნებთან. ასევე, პრეტენდენტ ნინო ფარცვანიას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ამავე კათედრაზე არსებული ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ექვსივე წევრი.

1. კომისიამ ერთხმად დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) ვაკანტური თანამდებობის (3 - კატეგორია „ა“, 1 - კატეგორია „ბ“) დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებად გამოვლინდნენ:

- 1) გრიგორი გიორგაძე (კატეგორია „ა“);

- 2) ილია თავხელიძე (კატეგორია „ა“);
- 3) ნინო ფარცვანია (კატეგორია „ბ“);
- 4) ოთარ ჯოხაძე (კატეგორია „ა“).

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება განპირობებულია მათემატიკის დეპარტამენტის დიფერენციალურ განტოლებების კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აკადემიური მოღვაწეობის, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, ასევე იმას, რომ კონკურსანტები უძღვებიან დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი სასწავლო კურსებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტების პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

2. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორის არჩევის მიზნით კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. მან ასევე ისაუბრა მიღებულ გადაწყვეტილებებზე და შეაჯამა კონკურსის შედეგები.

მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების 4 საშტატო ერთეულზე („ა“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 4 კანდიდატს:

- 1) ახოზაძე თეიმურაზ ივანეს ძე (კატეგორია „ა“);
- 2) გოგოლაძე ლერი დავითის ძე (კატეგორია „ა“);
- 3) კოპალიანი თენგიზ სამსონის ძე (კატეგორია „ა“);
- 4) ცაგარეიშვილი ვახტანგ შალვას ძე (კატეგორია „ა“);

ხოლო ასისტენტ პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე (კატეგორია „ა“) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 1 კანდიდატს:

- 5) აპლაკოვი ალექსანდრე რამინის ძე (კატეგორია „ა“).

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტების დოკუმენტაცია ჩაიბარეს დალუქულ მდგომარეობაში და ლუქებისა და შეფუთვების სიმთელე დარღვეული არ იყო. შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

1) კონკურსანტი თეიმურაზ ახოზაძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი თეიმურაზ ახოზაძის განათლება, სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა

დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის აქვს თსუ-ში მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (სხვადასხვა პერიოდში 9 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში, 6 - მაგისტრატურაში) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 7 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2018-2025); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 3; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 211, h-ინდექსი - 9, g-ინდექსი - 9; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 6, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: 2025 წელს თეიმურაზ ახობადის ორმა დოქტორანტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, თეიმურაზ ახობადე არის თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი, ასევე მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2) კონკურსანტი ლერი გოგოლაძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ლერი გოგოლაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტს მრავალი წლის პედაგოგიური გამოცდილება აქვს თსუ-ში. სასწავლო კურსები, რომლებსაც ის კითხულობს, შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო-არჩევითი საგნების ნუსხაში (სულ 10 კურსი) და ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 72 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (1972-2025); კონკურსანტის ციტირების ინდექსია 592, h-ინდექსი – 14, g-ინდექსი – 19; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 6, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ასპექტები და მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის ხელმძღვანელობით სტუდენტებს გამოქვეყნებული აქვთ 6 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

3) კონკურსანტი თენგიზ კოპალიანი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ თენგიზ კოპალიანის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის საერთო პედაგოგიური სტაჟი (თსუ-ში 1998 წლიდან), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (6 სასწავლო კურსი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში), შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 30 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2002-2025), 25 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია – 465, h-ინდექსი – 11, g-ინდექსი - 21; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები – 2, საგრანტო პროექტში

მონაწილეობა - 4, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 15. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა ორმა დოქტორანტმა, ასევე იყო 4 მაგისტრანტის ხელმძღვანელი. ამჟამად არის ორი დოქტორანტის და ორი მაგისტრანტის ხელმძღვანელი, იგი ასევე არის რესპუბლიკური მათემატიკური ოლიმპიადების ექსპერტი და თსუ ჟურნალ „მათემატიკის“ სარედაქციო კომისიის წევრი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

4) კონკურსანტი ვახტანგ ცაგარეიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ვახტანგ ცაგარეიშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (მრავალი წლის პედაგოგიური სტაჟი აკავშირებს თსუ-სთან), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 51 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2003-2025), 8 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია - 303, h-ინდექსი - 10, g-ინდექსი - 12; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 9, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: მისი ხელმძღვანელობით სტუდენტებს გამოქვეყნებული აქვთ 5 სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

5) კონკურსანტი ალექსანდრე აპლაკოვი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი ალექსანდრე აპლაკოვის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (სტაჟი 2015 წლიდან), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (9 სასწავლო კურსი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 2 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 12 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია – 8, h-ინდექსი – 2; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები – 4. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: 2023 წელს იყო 2 სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი; 2022 წლიდან არის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მათემატიკის სწავლების კოორდინატორი; 2023 წლიდან - მაგისტრატურაში მისაღები კომისიის წევრი, მათემატიკის დეპარტამენტის საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრებმა პრეტენდენტებს დაუსვეს შეკითხვები მათი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე სასწავლო-მეთოდური მასალების შესახებ. გასაუბრებისას დაისვა სხვა ისეთი კითხვებიც, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების თეიმურაზ ახოზაძის, ლერი გოგოლაძის, თენგიზ კოპალიანისა და ვახტანგ ცაგარეიშვილის კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის ასოცირებული პროფესორების ვაკანსიების (კატეგორია „ა“) მოთხოვნებთან. ასევე, პრეტენდენტ ალექსანდრე აპლაკოვის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ამავე კათედრაზე არსებული ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ბ“) ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ექვსივე წევრი.

2. კომისიამ ერთხმად დაადგინა:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრაზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- 1) თეიმურაზ ახოზაძე (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 2) ლერი გოგოლაძე (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 3) თენგიზ კოპალიანი (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 4) ვახტანგ ცაგარეიშვილი (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 5) ალექსანდრე აპლაკოვი (ასისტენტ პროფესორი, კატეგორია „ა“).

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის მათემატიკური ანალიზის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აკადემიური მოღვაწეობის, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, ასევე იმას, რომ კონკურსანტები უძღვებიან დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი სასწავლო კურსებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტების პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

3. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასოცირებული პროფესორების არჩევის მიზნით კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. მან ასევე ისაუბრა მიღებულ გადაწყვეტილებებზე და შეაჯამა კონკურსის შედეგები.

მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორების 4 საშტატო ერთეულზე („ა“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 4 კანდიდატს:

- 1) ამაღლობელი მიხეილ გიორგის ძე;
- 2) ლომაძე ვახტანგი გიორგის ძე;
- 3) მესაბლიშვილი ბაჩუკი ნესტორის ძე;
- 4) შავგულიძე ქეთევან შოთას ასული.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტების დოკუმენტაცია ჩაიბარეს დალუქულ მდგომარეობაში და ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

1) კონკურსანტი მიხეილ ამაღლობელი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტი მიხეილ ამაღლობელის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (1986 წლიდან თსუ-ში), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (9 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში), სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში, ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 19 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 24; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 275, h-ინდექსი - 10, g-ინდექსი - 13; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 17, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 3. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოიხილულია კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და

განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის გაფართოებული სხდომების ალგებრისა და გეომეტრიის სექციის ხელმძღვანელი; ფაკულტეტის საბჭოს წევრი; სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2) კონკურსანტი ვახტანგ ლომაძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ვახტანგ ლომაძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი - სამეცნიერო ხარისხი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2012 წლიდან დღემდე უკავია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (5 საგანი ბაკალავრიატში, 8 - მაგისტრატურაში), ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 68 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (1979-2025); სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 14; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 446 h-ინდექსი - 10; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 6, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 2, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 14. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის სხვადასხვა სადისერტაციო ნაშრომების

რეცენზენტი, სახელმძღვანელოს რეცენზენტი, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზენტი და სხვა. საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

3) კონკურსანტი ბაჩუკი მესაბლიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ბაჩუკი მესაბლიშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2018 წლიდან დღემდე ეკავა მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობა) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (მრავალფეროვანი სასწავლო კურსები აქვს შემოთავაზებული) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის საგნების ნუსხაში და ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 32 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში (2000-2025), 3 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია – 420, h-ინდექსი – 11, g-ინდექსი - 19; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები – 7, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 3, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 9. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ასევე მისი აქტივობები უნივერსიტეტის მესამე მისიის ფარგლებში. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის სამეცნიერო ჟურნალის „Transactions of A. Razmadze Mathematical Institute“ ასოცირებული რედაქტორი; სამეცნიერო ჟურნალის „Advanced studies: Euro-Tbilisi mathematical journal“ ასოცირებული რედაქტორი; Member of the selection commission of the Joint Rustaveli-DAAD-fellowship programme 2019, 2025; 1 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო და 1 დოქტორანტის ხელმძღვანელი და სხვა. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

4) კონკურსანტი ქეთევან შავგულიძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ქეთევან შავგულიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის მრავალი წლის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (8 სასწავლო კურსი ბაკალავრიატში, 2 მაგისტრატურაში) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს. კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები შეტანილია მათემატიკის დეპარტამენტის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნების ნუსხაში, შესაბამისად, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 5 ნაშრომი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 22 - სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გრაფაში; კონკურსანტის ციტირების ინდექსია – 51, h-ინდექსი – 5, g-ინდექსი - 6; ბოლო 6 წლის განმავლობაში საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები – 15, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 1, თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან - 5. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ნაშრომი. წარმოდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

შეფასების IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „მათემატიკა“ სარედაქციო საბჭოს წევრი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო-სასწავლო სემინარების მდივანი. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის პირველი ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“, მეორე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრებმა პრეტენდენტებს დაუსვეს შეკითხვები მათი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე სასწავლო-მეთოდური მასალებისა და წასაკითხად შემოთავაზებული ახალი სასწავლო კურსების შესახებ. გასაუბრებისას დაისვა სხვა ისეთი კითხვებიც, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების მიხეილ ამაღლობელის, ბაჩუკი მესაბლიშვილის, ვახტანგ ლომაძისა და ქეთევან შავგულიძის კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის (კატეგორია „ა“) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ექვსივე წევრი.

3. კომისიამ ერთხმად დაადგინა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ოთხი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- 1) მიხეილ ამაღლობელი (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 2) ვახტანგ ლომაძე (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 3) ბაჩუკი მესაბლიშვილი (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“);
- 4) ქეთევან შავგულიძე (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ა“).

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ დაეყრდნო კონკურსანტების აკადემიური მოღვაწეობის, თსუ-ში მუშაობის სტაჟის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, ასევე იმას, რომ კონკურსანტები უძღვებიან დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი სასწავლო კურსებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტების პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

4. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამაზ თადუმაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და

მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორების არჩევის მიზნით კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. მან ასევე ისაუბრა მიღებულ გადაწყვეტილებებზე და შეაჯამა კონკურსის შედეგები.

მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე („ბ“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 1 კანდიდატს:

1) ჩიქვინიძე ბესიკი ლევანის ძე;

ხოლო ასისტენტ პროფესორის 1 სამშტატო ერთეულზე („ბ“ კატეგორია) საბუთები შემოტანილი ჰქონდა 1 კანდიდატს:

2) რუხაია გიორგი ხიმურის ძე.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტების დოკუმენტაცია მიიღეს დალუქულ მდგომარეობაში და ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა თითოეული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

1) კონკურსანტი ბესიკ ჩიქვინიძე

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ბესიკ ჩიქვინიძის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2011 წლიდან. 2021 წლიდან დღემდე ეკავა ამავე კათედრის ასისტენტ პროფესორის თანამდებობა), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (კითხულობდა 9 სასწავლო კურსს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში), ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, II კატეგორიაში კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „მაღალი“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 9 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 2; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 28, h-ინდექსი - 3, g-ინდექსი - 3; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში - 4. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში მიმოხილულია კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და განსაზღვრულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები. კონკურსანტის კვლევა და საგანმანათლებლო საქმიანობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მიზნად ისახავს მეცნიერთა

მომავალი თაობის აღზრდას. შედეგად, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის პრეზიდენტი 2018 – 2021 წლები და 2024 - დღემდე; საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 2025 წლის 7 – 11 ივლისი, ესტატე ხმალადის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; მაგისტრანტ საბა გორგოდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, 2022 წელი; საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, 2019 წლის 9 – 13 სექტემბერი, ესტატე ხმალადის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2) კონკურსანტი გიორგი რუხაია

კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამაზ თადუმაძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ გიორგი რუხაიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (მათემატიკის დოქტორი), რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით, სამსახურებრივი გამოცდილება აკმაყოფილებს ვაკანსიისათვის წარდგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, შეფასების I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

შეფასების II კატეგორია (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან): კონკურსანტს აქვს საინტერესო კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება, შემოთავაზებული აქვს სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის მიხედვით, არის პერსპექტიული კადრი. ასევე ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი 2 სილაბუსის შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. II კატეგორიაში კონკურსანტმა მიიღო შეფასება „საშუალო“.

შეფასების III კატეგორია (სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა): კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 3 პუბლიკაცია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 1; კონკურსანტის ციტირების ინდექსია 15, h-ინდექსი – 2, g-ინდექსი – 3; მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე ბოლო 6 წლის განმავლობაში – 2, საგრანტო პროექტში მონაწილეობა - 2. კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი სტატია შეფასდა, როგორც მაღალ სამეცნიერო დონეზე შესრულებული და დარგთან სრული შესაბამისობის მქონე ნაშრომი. სამოტივაციო წერილში მიმოხილულია კონკურსანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარების მიმართულებები. საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

IV კატეგორია (სხვა სახის აქტივობა - ბოლო 6 წელი): კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: იგი არის ინდივიდუალური მეწარმე და მუშობს საერთაშორისო ბაზარზე კომპანიებისათვის კომერციული მნიშვნელობის ტექნოლოგიური კვლევების მიწოდებისათვის. კვლევის საკითხები მოიცავდა (და მოიცავს) ისეთ ამოცანებს როგორიცაა საინჟინრო ამოცანების მაღალი სიზუსტის გეომეტრიული მოდელირება და გამოთვლები (precision engineering); კომპანიის სავაჭრო მოდელში ფასთა, სასაჩუქრე სისტემათა

თუ სხვა საკითხთა მოდელირება; სიგნალების დამუშავება, ხმაურის გაფილტვრა და სიგნალზე დაყრდნობით გარესამყაროს მოვლენების მოდელირება; ალბათური პროცესების მოდელირება და პროგნოზირება; და სხვა. ასევე აღნიშნული ამოცანების მათემატიკურ გადაწყვეტათა პროგრამულ რეალიზაციებს.

მიღებული აქვს საპრეზიდენტო სტიპენდია (საქართველო) მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის (ბაკალავრიატის ყველა საკვალიფიკაციო სემესტრში); ჰაუსდორფის სტიპენდია(გერმანია) მაგისტრატურის სრულ პერიოდზე. ამდენად, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა.

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრებმა პრეტენდენტებს დაუსვეს შეკითხვები მათი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, სამომავლო გეგმების შესახებ. გასაუბრებისას დაისვა სხვა ისეთი კითხვებიც, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტებმა ამომწურავი პასუხები გასცეს. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტების ბესიკ ჩიქვინიძისა და გიორგი რუხაიას კანდიდატურები სრულ შესაბამისობაშია მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის, შესაბამისად, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების ვაკანსიების (კატეგორია „ბ“) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთ შეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა სხდომაზე დამსწრე კომისიის ექვსივე წევრი.

4. კომისიამ ერთხმად დაადგინა: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანტური თანამდებობისა და ასისტენტ პროფესორის ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდნენ:

- 1) ბესიკ ჩიქვინიძე (ასოცირებული პროფესორი, კატეგორია „ბ“);
- 2) გიორგი რუხაია (ასისტენტ პროფესორი, კატეგორია „ბ“).

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია მათემატიკის დეპარტამენტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აკადემიური მოღვაწეობის, პერსპექტიული სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს. კომისიამ ასევე გაითვალისწინა კონკურსანტების პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

დასასრულ კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე:

თ. თაყაიშვილი

/თამაზ თაყაიშვილი/

კომისიის მდივანი:

თ. დავითაშვილი

/თინათინ დავითაშვილი /

კომისიის წევრები:

ე. ნადარაია

/ელიზბარ ნადარაია/

ვ. კვარაცხელია

/ვახტანგ კვარაცხელია/

მ. ბაკურაძე

/მალხაზ ბაკურაძე/

გ. ჯელიძე

/გიორგი ჯელიძე/